



ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კარმენ“

(ს/ნ 234238296)

10 ნოემბერი 2018

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8-9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „კარმენ“-ის (შემდეგში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2017 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს ჩვენს მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს

არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

-----signed-----

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

10 ნოემბერი, 2018წ.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შენ, N		2017	2016
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		23,619.99	22,768.73
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	5	173.89	167.76
სხვა შემოსავალი		38.53	44.50
სულ შემოსავალი		23,832.41	22,980.99
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(21,870.67)	(21,948.34)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(355.28)	(445.53)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(15.42)	(22.92)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(668.06)	(667.78)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)	8	(110.28)	(116.53)
ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი	9	(131.52)	(80.36)
საკონსულტაციო ხარჯი		(29.44)	(30.41)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(0.05)	(4.65)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(8.43)	(0.56)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(104.18)	(142.26)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		539.08	(478.35)
ფინანსური შემოსავალი	11	234.49	82.53
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		-	-
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	12	438.64	(231.91)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,212.20	(627.73)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(103.15)
წლის მოგება		1,212.20	(730.88)
სხვა სრული შემოსავალი:			
მოგების გადასახადის ეფექტი	13	-	1,322.14
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში, წმინდა		-	1,322.14
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		1,212.20	591.26

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2018 წლის 31 მარტს.

-----signed-----

დირექტორი

/მერაბ დათვიაშვილი/

-----signed-----

მთავარი ბუღალტერი

/ინგა ბალიაშვილი/

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ. N	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	14	8,514.83	9,182.13	9,684.19
არამატერიალური აქტივები		-	-	4.65
გაცემული სესხები		-	-	-
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		-	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,514.83	9,182.13	9,688.84
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	15	2,256.03	5,702.41	13,027.47
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,745.97	2,545.45	2,774.73
გადახდილი ავანსები		-	-	-
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		2,528.67	12.09	2,018.34
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	6,834.75	3,974.55	2,126.57
სულ მიმდინარე აქტივები		14,365.41	12,234.50	19,947.12
სულ აქტივები		22,880.24	21,416.63	29,635.96
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		17.61	17.61	17.61
გაუნაწილებელი მოგება	18	16,743.88	15,531.68	14,940.43
დაგროვილი ზარალი		-	-	-
სულ კაპიტალი		16,761.49	15,549.29	14,958.03
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები		-	-	-
რესტრუქტურირებული ვალდებულებები		-	-	-
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	5,801.96	5,838.98	14,352.53
საგადასახადო დავალიანებები	20	316.79	28.36	325.40
მიმდინარე ვალდებულებები		6,118.75	5,867.34	14,677.92
სულ ვალდებულებები		6,118.75	5,867.34	14,677.92
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,880.24	21,416.63	29,635.96

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	27,980.21	27,360.92
მიღებული სხვა ფულადი სახსრები	12.94	8.13
ფულადი სახსრების უკან დაბრუნება	0.04	1,867.10
სულ შემოსული თანხები	27,993.19	29,236.15
ხარჯები:		
ნედლეულის მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(17,771.22)	(13,875.77)
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(891.18)	(939.31)
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები (გარდა მოგების გადასახადისა)	(2,008.97)	(2,457.67)
ბანკის საკომისიო	(4.63)	(7.75)
ფულადი სახსრების უკან დაბრუნება	(103.80)	(37.91)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(524.44)	(511.51)
ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯი	(150.00)	(132.39)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(4,055.60)	(614.24)
გადაზიდვის ხარჯი	(162.60)	(268.01)
სხვა ხარჯები	(28.83)	(79.77)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(25,701.28)	(18,924.32)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	2,291.92	10,311.83
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6.60)	(77.41)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6.60)	(77.41)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	234.49	82.53
კაპიტალის შემცირება		(8,559.41)
გადახდილი სესხის პროცენტები		
გადახდილი სესხი		

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	234.49	(8,476.88)
სავალუტე კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახრებსა და მათ ექვივალენტებზე	340.39	90.43
ფული პერიოდის დასაწყისში	3,974.55	2,126.57
ფული პერიოდის ბოლოს	6,834.75	3,974.55
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა კლება	(2,860.20)	(1,847.98)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	17.61	14,940.43		14,958.03
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	(730.88)	-	(730.88)
სხვა სრული შემოსავალი (მოგების გადასახადის ეფექტი)	-	1,322.14	-	1,322.14
დივიდენდები	-	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
დაუფარავი ზარალის გაუქმება	-	-	-	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17.61	15,531.68	-	15,549.29
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	17.61	15,531.68	-	15,549.29
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	1,212.20	-	1,212.20
დივიდენდები	-	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
დაუფარავი ზარალის გაუქმება	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17.61	16,743.88	-	16,761.49

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კარმენ“-ი (შემდგომში - კომპანია) არის 2007 წლის 07 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი N25.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფქვილის წარმოება.

კომპანიის პარტნიორი	31.დეკ.17	31.დეკ.16	31.დეკ.15
ტალეხ გასიმოვი (P4387365)	100%	100%	100%
სულ:	100.00%	100.00%	100.00%

2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი იყო - მერაბ დათვიაშვილი (პ/ნ 59001043946).

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორების მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

(ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

(ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღირების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღირების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- შენობა-ნაგებობები 30 – 50 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5 – 10 წელი;
- მანქანა დანადგარები 5 – 10 წელი;

- სატრანსპორტო საშუალებები 5 – 10 წელი;
- ძაღოვანი დანადგარები 5 - 10 წელი

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიმი ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და

(ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;

ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);

ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 8 246.66 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა უზრუნველყოფს კომპანიის აუცილებელ ლიკვიდურობას, ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებისათვის 2018 წლის შემდგომ პერიოდშიც.

5. შემოსავალი

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
მზა პროდუქციის და ნედლეულის რეალიზაცია*	23,514.27	22,647.02
შემძენილი საქონლის რეალიზაცია**	105.72	121.71
სულ შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	23,619.99	22,768.73

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
შენახვის მომსახურება	98.43	96.54
სატრანსპორტო მომსახურება	74.42	69.69
სხვა მომსახურება	1.04	1.53
სულ შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან***	173.89	167.76

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
ზიანის ანაზღაურება (საქონლის დანაკლისის)	21.80	17.67
ელ.ენერგიის რეალიზაცია	7.09	14.76
შემოსავალი იჯარიდან	4.56	7.30
შემოსავალი სასაქონლო ნიშნის გამოყენებიდან	5.08	4.77
სულ სხვა შემოსავალი ****	38.53	44.50

5.1. კომპანიის ძირითადი ამონაგები ფორმირდება ნაწარმოები ფქვილის/ქატოს რეალიზაციით მიღებული შემოსავლებით (*). კომპანიის ამონაგების მცირე ნაწილი ფორმირდება შეძენილი საქონლის (ფქვილის/ქატოს) (**) და შეძენილი ნედლეულის (ხორბლის) რეალიზაციით (2016 წელს) მიღებული შემოსავლებით;

5.2. ამონაგების უმნიშვნელო ნაწილი ფორმირდება კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების (შენახვა/ტრანსპორტირება და სხვ.) თანხებით (***) და სხვა შემოსავლებით (****).

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულება (*)	21,771.86	20,526.79
რეალიზებული ნედლეულის თვითღირებულება (**)		1,309.91
რეალიზებული შეძენილი საქონლის თვითღირებულება (***)	98.81	111.64
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21,870.67	21,948.34

6.1. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების უდიდეს ნაწილს შეადგენს კომპანიის მიერ რეალიზებული საკუთარი წარმოების ფქვილის/ქატოს თვითღირებულება (*), რომელშიც შეიტანება ნედლეულის ხარჯი, წარმოების პერსონალის გასამრჯელოები და სხვ. პირდაპირი (წარმოებას მიკუთვნებული) დანახარჯები;

6.2. რეალიზებული პროდუქციის მცირე ნაწილი ფორმირდება შეძენილი და რეალიზებული საქონლისა (**) და ნედლეულის (ხორბლის) (***) თვითღირებულებებით

6.3. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გაანგარიშებულია მარაგების ღირებულების განსაზღვრის საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე (იხ. დანართი N3.4. - მარაგები)

7. ცვეთის ხარჯი

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
შენობა-ნაგებობები	129.58	129.32
ავეჯი და სხვა ინვენტარი	14.78	14.78
მანქანა-დანადგარები	478.33	478.31
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	24.08	24.08
ძაღოვანი დანადგარები	21.28	21.28
სულ ცვეთა	668.05	667.77

7.1. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით (იხ. დანართი 3.5. - ძირითადი საშუალებები).

8. საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
მიწის გადასახადი	26.92	26.89
ქონების გადასახადი	83.36	89.63
სულ საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)	110.28	116.53

9. ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
საწვავის ხარჯები მიწოდებაზე	87.02	63.59
ტრანსპორტირების ხარჯი	3.55	15.65
ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა საექსპლუატაციო ხარჯი	40.96	1.12
სულ ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი	131.52	80.36

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
იჯარის ხარჯი	-	0.61
მუშა-მოსამსახურეების სწავლების ხარჯი	0.75	0.67
საბანკო ხარჯი	4.62	7.61
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი (ადმინისტრაცია)	20.31	52.54
ძირითადი საშუალებების რემონტი	26.86	43.51
სხვა სამეურნეო ხარჯი	51.64	37.33
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	104.18	142.26

11. ფინანსური შემოსავლები

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან	234.49	82.53
ფინანსური შემოსავლები	234.49	82.53

11.1. კომპანიის ფინანსური შემოსავლები მთლიანად არის ფორმირებული საბანკო ინსტიტუტებში უვადოდა/ან მოკლევადიანი დეპოზიტების განთავსებით მიღებული პროცენტის თანხებიდან

12. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
დადებითი საკურსო სხვაობა	1,631.65	957.99
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(1,193.01)	(1,189.90)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	438.64	(231.91)

13. გადავადებული მოგების გადასახადი

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
შემოსავალი გადავადებული მოგების გადასახადის რევერსირებიდან	-	1,322.14
მოგების გადასახადის ეფექტი	-	1,322.14

13.1. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება არა დარიცხული მოგება, არამედ ფიზიკურ პირებზე ან/და არარეზიდენტ პირებზე დივიდენდის სახით გაცემული მოგება და შეადგენს განაწილებული მოგების 15%-ს (ე.ი. განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ს).

საკანონმდებლო ცვლილებებისა და ფასს (IAS) 12 „მოგების გადასახადი“-ის მოთხოვნის საფუძველზე კომპანიამ განახორციელა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების რევერსირება და გადავადებული მოგების გადასახადის რევერსირების საფუძველზე მიღებული შედეგი (1 322.14) აღიარა მოგების ან ზარალის შემადგენლობაში.

14. ძირითადი საშუალებები

ლარი'000	მიწა	შენობა- ნაგებობები	ავტო და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშალებები	ძალოვანი დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2016	423.41	6,473.78	195.65	5,032.81	240.80	212.77	12,579.22
შემოსვლა	85.04	75.18	1.21	4.08		0.21	165.72
გასვლა			(0.01)				(0.01)
გადაცემები							
სტორიული ღირებულება 31.12.2016	508.45	6,548.96	196.85	5,036.89	240.80	212.98	12,744.93
ისტორიული ღირებულება 01.01.2017	508.45	6,548.96	196.85	5,036.89	240.80	212.98	12,744.93
შემოსვლა			0.76				0.76
გასვლა			(0.01)				(0.01)
გადაცემები							
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	508.45	6,548.96	197.59	5,036.89	240.80	212.98	12,745.68
ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 01.01.2016		(631.15)	(66.80)	(1,954.94)	(125.88)	(116.27)	(2,895.04)
ცვეთა		(129.32)	(14.78)	(478.31)	(24.08)	(21.28)	(667.77)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	-	(760.47)	(81.57)	(2,433.25)	(149.96)	(137.55)	(3,562.80)
დაგროვილი ცვეთა 01.01.2017		(760.47)	(81.57)	(2,433.25)	(149.96)	(137.55)	(3,562.80)
ცვეთა		(129.58)	(14.78)	(478.33)	(24.08)	(21.28)	(668.05)
გადაცემები							
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017		(890.05)	(96.36)	(2,911.58)	(174.04)	(158.83)	(4,230.85)
საბალანსო ღირებულება							
საბალანსო ღირებულება 01.01.2016	423.41	5,842.64	128.85	3,077.87	114.92	96.49	9,684.19
საბალანსო ღირებულება 31.12.2016	508.45	5,788.49	116.02	2,603.64	90.84	75.43	9,182.13
საბალანსო ღირებულება 31.12.2017	508.45	5,658.91	101.24	2,125.31	66.76	54.15	8,514.83

14.1. აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებების შეფასებას კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მეთოდი) (იხ. დანართი N3/2 - ძირითადი საშუალებები);

14.2. ძირითადი საშუალებები გარდა (უძრავი ქონებისა), სულ 2 347.47 ლარის საბალანსო ღირებულების, ისევე როგორც საზოგადოების მთელი მოძრავი ქონება დატვირთული საქართველოს ბანკის სასარგებლოდ დატვირთულია გირავნობა/ლიზინგის უფლებით (საკრედიტო ხაზით გაცემული/გასაცემი ფულადი სახსრების უზრუნველსაყოფად);

14.3. კომპანიის უძრავ ქონებას მიმდინარე დავის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სასამართლო განჩინების საფუძველზე ადევს რეალიზაციის აკრძალვა.

15. მარაგები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ნედლეული და მასალები	1,582.82	4,567.96	11,822.95
მზა პროდუქცია	527.32	804.56	947.52
შესაფუთი და სხვა დამხმარე მასალები	99.98	275.76	179.95
სამშენებლო მასალები	0.31	0.35	2.26
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	45.61	53.78	74.78
მარაგები	2,256.03	5,702.41	13,027.47

15.1. მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას (დანართი N3.4. -მარაგები);

15.2. სულ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ხარჯად აღიარებულმა მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა - 22 045,72 ლარი, მათ შორის:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21,870.67
სხვადასხვა ელექტრო ინვენტარი	3.24
ღვედეები	3.00
მანქანის ნაწილები	32.91
საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი	2.50
სხვადასხვა წვრილმანი მასალები	11.37
საწვავი	97.54
სხვადასხვა მასალები	11.77
სამშენებლო მასალები	6.76
სხვადასხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	0.24
სათადარიგო ნაწილები	5.72

სულ მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის
თვითღირებულება

22,045.72

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,745.97	2,545.45	2,774.73
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,745.97	2,545.45	2,774.73

16.1. სავაჭრო მოთხოვნები (მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან), წარმოადგენენ მოკლევადიან მოთხოვნებს და აღრიცხულნი არიან წმინდა საბალანსო ღირებულებით, რომელიც მიჩნეულია დაახლოებით რეალურ ღირებულებად.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ნაღდი	29.91	7.62	33.07
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	6,804.84	3,966.93	2,093.50
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,834.75	3,974.55	2,126.57

18. კაპიტალი

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
საწესდებო კაპიტალი	17.61	17.61	17.61
გაუნაწილებელი მოგება	16,743.88	15,531.68	14,940.43
სარეზერვო კაპიტალი			
სულ კაპიტალი	16,761.49	15,549.29	14,958.03

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ვალდებულება ნედლეულის მომწოდებლების მიმართ	1,699.63	1,529.37	1,647.77
დავალიანება სატრანსპორტო კომპანიების მიმართ	-	104.96	-
ელექტროენერგიის დავალიანება	57.19	54.93	51.20
ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე	3,902.96	3,985.17	12,347.28
სხვა ვალდებულებები	99.57	125.43	258.73
გადასახდელი ხელფასები	42.61	39.11	47.55
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,801.96	5,838.98	14,352.53

19.1. დამფუძნებლის წინაშე კომპანიის ვალდებულება მთლიანად წარმოშობილია კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებით საწესდებო კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით, რომლის ნაწილიც კომპანიის პარტნიორს ჯერ კიდევ არ გაუტანია.

20. საგადასახადო დავალიანება

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
	ლარი'000	ლარი'000	ლარი'000
ერთიან საგადასახადო ბარათზე რიცხული დავალიანება	316.79	28.36	325.40
საგადასახადო დავალიანება	316.79	28.36	325.40

21. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობის სააღრიცხვო დაშვებები, მსჯელობები და შეფასებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და განხილულია სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა აღნიშნული შეფასებები შეიძლება განსხვავებული იყოს რეალური შედეგებისგან:

ძირითადი საშუალებების შეფასება

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებული კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლებიც დარწმუნებულები არიან რომ ეს შეფასება არ განსხვავდება ამ ძირითადი საშუალებების რეალური მომსახურების ვადებისგან. რეალური მომსახურების ვადების შეფასებისაგან განსხვავებულობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგება არსებითად განსხვავებული იქნება.

22. ინფორმაცია ხელმძღვანელობის კომპენსაციის შესახებ

	2017	2016
	ლარი'000	ლარი'000
მერაბი დათვიაშვილისგასამრჯელო	35.63	35.47
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	35.63	35.47



მმართველობითი

ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



ფაქტები კომპანიის შესახებ

საწარმოს დასახელება:

რეგისტრაციის თარიღი:

საწარმოს იურიდიული/ფაქტ. მისამართი:

დაქირავებულ პირთა რაოდენობა:

დარგი:

მთლიანი აქტივების ღირებულება:

საწარმოს პარტნიორი (100%-იანი წილი):

საწარმოს დირექტორი:

შპს კარმენ

07 სექტემბერი 2009

საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი N25

108

ფქვილის/ქატოს წარმოება

20 მილიონზე მეტი

ტალეხ გასიმოვი

მერაბ დათვიაშვილი



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კარმენ“-ი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფქვილის მწარმოებელ საწარმოს საქართველოში. საწარმოს რეალიზაციამ 2017 წელს 23 მილიონ ლარს გადააჭარბა, რამაც 3,71%-ით გაუსწრო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

რეალიზაცია, 2016 წელი (ათასი) ლარი	რეალიზაცია, 2017 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან %
22 980,99	23 832,41	3,71%



გაყიდვების უდიდესი ნაწილი მოდის ფქვილის, ქატოს და ხორბლის რეალიზაციაზე, ხოლო გაყიდვების მცირე ნაწილი ფორმირდება სხვადასხვა სახის მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებით:

რეალიზაცია, 2016 წელი (ათასი) ლარი	რეალიზაცია, 2017 წელი (ათასი) ლარი	რეალიზებული საქონელი/მომსახურება
22 768, 73	23 619, 99	ფქვილი, ქატო, ხორბალი
212, 26	212,42	

2017 წელს გაიზარდა საწარმოს მთლიანი აქტივების ღირებულება და შეადგინა 22 880,24 ათასი ლარი, რაც 6,84 %-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან.

სულ აქტივები, 2016 წელი (ათასი) ლარი	სულ აქტივები, 2017 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
21 416, 63	22 880,24	6,84%

საწარმოში 2017 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა - 108 ადამიანი, რაც 2,86%-ით აღემატება წინა წლების შესაბამის მაჩვენებელს.

პერსონალი, 2016 წელი ადამიანი	პერსონალი, 2017 წელი ადამიანი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
105	108	2,86%



საწარმოში 2017 წელს საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 589 ლარს, ხოლო 2016 წელს - 602 ლარს

საშუალო ხელფასი, 2016 წელი ლარი	საშუალო ხელფასი, 2017 წელი ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
602	589	(2,20%)

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საწარმოში დასაქმებულ პირთა 30% ქალია:

ქალთა წილი დასაქმებულებში, 2016 წელი %	ქალთა წილი დასაქმებულებში, 2017 წელი %
30%	30%

საწარმო წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუტორს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ:

გადახდილი გადასახადები, 2016 წელი (ათასი) ლარი	გადახდილი გადასახადები, 2017 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
2 439, 41	2 002, 97	(21,79%)

არსებითია ჩვენი კონტრიბუცია, ქონების გადასახადის სახით, ადგილობრივ ბიუჯეტში:

გადახდილი გადასახადები, 2016 წელი (ათასი) ლარი	გადახდილი გადასახადები, 2017 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
1 165, 55	1 102, 83	(5,69%)

ფინანსური ანგარიშგება

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება არაუმცირეს წელიწადში ერთხელ, რომლის აუდიტირება ხდება დამოუკიდებელი საგადასახადო აუდიტორის მიერ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი არის საბუღალტრო/საფინანსო სამსახური.





..... შიდა კონტროლის მექანიზმები

საწარმოში კონტროლი ხორციელდება რამოდენიმე სხვადასხვა ეტაპზე, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში განზრახ, თუ უნებლიე შეცდომის დაშვების რისკს:

- 1) საწარმოში განხორციელებული ყოველდღიური დსმეურნეო ოპერაციები, კონტროლდება და აღირიცხება საწარმოს ფინანსური/საბუღალტრო ჯგუფის მიერ;
- 2) საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებების დამუშავებული და აღრიცხული ფინანსური მაჩვენებლები კიდევ ერთხელ მოწმდება და კონტროლდება საწარმოს შიდა აუდიტორის მიერ ყოველთვიურად;



- 3) საწარმოს საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებისა და სიდა აუდიტორის მიერ შედგენილი წლის ფინანსური ანგარიშგება მოწმდება და მტკიცდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;
- 4) თავის მხრივ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება კიდევ ერთ კონტროლს გადის საწარმოს პარტნიორთა კრებაზე;
- 5) 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილი პროცედურობის გამართულობა პერიოდულად მოწმდება საწარმოს უფლებამოსილი პირების მიერ.



გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

საწარმოს მიზანია მინიმუმამდე შეამციროს მისი ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ამ მიზნის მისაღწევად, საწარმოო ნარჩენების გონივრული მენეჯმენტის კუთხით საწარმოს მიერ მუდმივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. 2018-2019 წელს გარემოსდაცვითი საკითხები საწარმოს ერთ-ერთ მთავარ რჩება.



მთავარი გამოწვევა 2018-2019 წელს

2018 – 2019 წლების მთავარ გამოწვევად საწარმოში ხარისხი მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა და საწარმოს ISO სერტიფიცირება რჩება, რომელიც არამარტო საწარმოს არამედ ყველა მისი თანამშრომლის მთავარი გამოწვევაა 2018-2019 წლებში.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია 10.11.2018

----- *signed* -----

შპს „კარმენ“-ის დირექტორი